



## პრალის მთავარეპისკოპოსი მიქაელი: რუსეთის გაქრისტიანება – მნიშველოვანი მოვლენაა რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ისტორიაში



„ნება მიბოძეთ მე, როგორც ჩხეთის მინებისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრმა, მთელი ჩვენი ეკლესიის სისავსის სახელით მოგილოცოთ სასიხარულო და უმნიშველოვანესი მოვლენის წლისთავი რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ისტორიაში – რუსეთის გაქრისტიანება“, – ბრძანა, კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარეს მიტროპოლიტ ონოფრესადმი მიმართვაში პრალის მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა, საღვთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ, რომელიც კიევ-პეჩერის ლავრის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისწინა მოედანზე აღესრულა 2021 წლის 28 ივლისს.

„დღეს ჩვენ ვზეიმობთ წმინდა მოციქულთა სწორის, დიდ მთავარ ვლადიმერის ხსენების დღეს, რომელმაც 1033 წლის წინ განანათლა რუსეთი, თავისი ხალხი ჭეშმარიტი ღმერთის რწმენაზე მოაქცია. ჩვენი მოძმე ხალხების ისტორიაში საოცრად ბევრი პარალელია. ჩვენმა მოციქულთა სწორმა წმინდა მთავარმა როსტისლავმა დიდ მორავიაში მოიწვია წმინდა ძმები კირილე და მეთოდე. სლავთა განმანათლებლებმა ღვთისმსახურება და წმინდა წერილი ყველა სლავისთვის გასაგებ ენაზე თარგმნეს. საუკუნების შემდეგ, წმინდა მოციქულთა სწორი მთავრის ვლადიმერის წყალობით, წმინდა ძმებისა და მათი მონაფეების

შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო რუსეთში. დიდ მორავიაში ჩაყრილი თესლი, რუსეთში დიდ ხედ იქცა, და ამ ხის გვირგვინი დღემდე მაგრილობელ ჩრდილს ფენს სლავ ხალხს. ქრისტეს სარწმუნოების მიღება ჩვენი ხალხებისთვის გახდა არა მარტო სულიერი სიკეთის მომცემი, არამედ განათლების საწყისად, სახელმწიფოებრიობისა და დიდებულობის საფუძვლადაც იქცა“.

აღნიშნა რა, რომ უფალი ამჟამად უკრაინელ ხალხს და უკრაინის წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიას განსაცდელს უგზავნის, მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა ბრძანა: „მაგრამ ამ განსაცდელებში იწრთობა და მტკიცდება ნამდვილი ქრისტიანების რწმენა“.

იერარქმა ახსენა ისიც, რომ პრალის მართლმადიდებელი ეპარქიის ტაძრებში ღვთისმსახურების დროს ყოველთვის აღევლინება ლოცვები უკრაინაში ეკლესიის მშვიდობისა და ერთიანობისთვის, ასევე ადამიანებს შორის ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის.

უნეტარესი მიტროპოლიტის ონოფრესადმი მიმართვისას, მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა აღნიშნა: „თქვენო უნეტარესობავ, ძვირფასო მეუფევე, მე მოუღლელად და მთელი გულით ვევედრები ჩვენს უფალ იესო ქრისტეს დაიფაროს, დაიცვას, განამტკიცოს უკრაინის წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია, კანონიერი და კანონებთან შესაბამისად მართული თქვენი უნეტარესობის მიერ. დაე, ყოვლადკეთილმა ღმერთმა მოგცეთ ძალა, მოთმინება და სიბრძნე, დაიცვათ მართლმადიდებელი უკრაინელი ხალხი და თქვენი წმინდა ეკლესია. მისთვის, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ღვთის წინაშე შუამდგომლობს წმინდა მთავარი მოციქულთა სწორი ვლადიმერიც. გვწამს, რომ დადგება დღე, როცა ვერანაირი ბოროტი ძალა და ბოროტი ნება ვერ დააღვევს მშვიდობას, განსვენებას, მყუდროებას, მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი და მთელი მისი ზეციური მხედრობა!“.

*სსკვ-ს კომუნიკაციების სამსახური*